

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის N 7 განკარგულების თანახმად საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ ამირჩიეს საკრებულოს წევრი გიორგი ჩაგანავა; ამავე წლის 4 დეკემბერის N 13 განკარგულებით დამტკიცდა კომისიის პერსონალური შემადგენლობა 12 წევრით. საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის N18 დადგენილებით საფინანსო საბიუჯეტო კომისიის დებულება.

საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული 2017 წლის 22 დეკემბრის N34 ბრძანების შესაბამისად კომისიების ჩატარების გეგმა გრაფიკის შესაბამისად ვატარებდი კომისიის სხდომებს 2018 წლის 31 დეკემბრამდე

2018 წლის 26 დეკემბერს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს თავმჯდომარის N 179 ბრძანებით მიერ დამტკიცდა კომისიის სამუშაო გეგმა შესაბამისად, კომისიამ ჩაატარა 8 სხდომა. სხდომებზე სულ განხილულ იქნა 18 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში სხდომებზე განხილულ სხვადასხვა საკითხებთან ერთად კომისიამ წარმოადგინა 8 დასკვნა, რომლების წარდგენილ იქნა ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე, ამავდროულად გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიაში რეკომენდაციების სახით. მათ შორის:

- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღებისა და გადასახადის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 ივლისის N39 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.
- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.
- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების

შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N60 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წელს დამტკიცებულ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2018 წელში განხორციელებული შესყიდვების შესახებ.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეახებ.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წელს, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“- განხორციელების წესის დადგენის შესახებ.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედის საზღვრებში კურორტ გომის მთის მოქცევის შესახებ.

- კომისიაში შემოსული კორესპონდენციის შესახებ.

- გურიის სამხარეო ადმინისტრაციიდან შემოსული კორესპონდენციის შესახებ.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პირველი კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის მეორე კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის მესამე კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.

- შემოსულ კორესპონდენციათა განხილვის შესახებ.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმის განხილვის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში კომისია განიხილავდა შემოსულ წერილებსა და კორესპონდენციებს. სულ 28 რომელიც განხილული იქნა კომისიის სხდომაზე შემდგომი რეაგირებისათვის.

საანგარიშო პერიოდში, ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში და ყოველკვარტალურად, კომისია ისმენდა და აფასებდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურების ანგარიშებს.

აქტიურად ვთანამშრომლობდით არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებსაც აქვთ განსხვავებული ხედვები, დამოკიდებულებები, მიდგომები მთელი რიგი საკითხების მიმართ. ჩვენთვის საყურადღებოა მათი წინადადებები, რეკომენდაციები, რომელსაც დიდი ყურადღებით ვეცნობით და ვითვალისწინებთ კიდევ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია მაღალი პასუხისმგებლობით, აქტიურობით, გულისხმიერებითა და ეფექტური მიდგომებით განახორციელებს დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას.